ოქმი:**ო08. 3722335001**

თარიღი:**01/12/2022**

ოქმი № 24
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 21 ნოემბერი

ქ.ოზურგეთი

13.00 -14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, გ. ჩავლეშვილი, გ. შარაშენიძე, გ. შილაკაძე, ბ. კილაძე, ლ. კილაძე, გ. კილაძე, პ. კიღურაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი პ. ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებზე, ყურადღება გაამახვილა კომისიის დარგობრივ სტრუქტურაში შემავალი პრიორიტეტებისა და პროგრამების დაფინანსებაზე, ხოლო პროექტთან დაკავშირებით ვრცელი ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა პ.ჭყონიამ. აღნიშნა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი იზრდება 5.836 მილიონი ლარით, ძირითად პრიორიტეტებზე საუბრის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კომისიის დარგობრივი პროგრამების დაფინანსებას, ამის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, საკრებულოს წევრმა ხ. ცერცვაძემ დასვა შეკითხვა თოჯინების თეატრის, წითელი ჯვრისა და ანასეულის ტყე-პარკთან დაკავშირებით. განუმარტეს, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით უნდა მიმართოს მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს. კომისიის წევრებმა იმსჯელეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ და მხარი დაუჭირეს სხდომის თავმჯდომარის დ. ჭაკნელიძის წინადადებას-პროექტი საკრებულოს სხდომაზე განხილვის შემდეგ, გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების შესაბამისად კორექტირების მიზნით, დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს სხდომაზე განხილვის შემდეგ, გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების შესაბამისად, კორექტირების მიზნით, დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისია-კომისიის
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი